გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი	თამარ მანგოშვილი
კლასი	IX
საგანი	ინგლისური ენა
მოსწავლეთა რაოდენობა	28 სსსმ - 5
ჩატარების დრო	01.02.2017 წელი
გაკვეთილის ხანგრძლივობა	45 წთ.
გაკვეთილის თემა	Teen problem page
ძირითადი მიზანი	მოსწავლემ შეძლოს პრობლემის იდენტიფიცირებისა და რჩევის მიცემისთვის საჭირო ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება
სწავლების მეთოდი	ინდივიდუალური, ჯგუფური
მისაღწევი შედეგი	მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობა, შეუძლია შესაბამისი საბაზისო უნარ-ჩვევების გამოყენება
ესგ-ით მისაღწევი შედეგი	უცხ.ს.IV.10 მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ნაწყვეტის ხმამაღლა კითხვა. უცხ.ს.IV.14 მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურის დაცვა, ფლობს და ცდილობს გამოიყენოს საბაზისო ენობრივი უნარ-ჩვევები. უცხ.ს.IV.16 მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობა. უცხ.ს.IV.19 მოსწავლე ფლობს და იყენებს საბაზისო ენობრივ უნარ-ჩვევებს.
რესურსი	New Inspiration Pupils book, Work book, დაფა, ცარცი, კალამი, რვეული, მარკერები, კომპიუტერი, პროექტორი
წინარე ცოდნა	ლექსიკური მარაგი, თინეიჯერების პრობლემებზე ზოგადი ინფორმაციის ცოდნა, მოდალური ზმნები.
გაკვეთილის ტიპი	პრობლემაზე ორიენტირებული
გაკვეთილის აღწერა	**2 წთ -** მისალმება გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა **3 წთ -** მოსწავლეები ადგენენ გაკვეთილზე ქცევის წესებს **გამოწვევის ფაზა** **12 წთ -** ინტერესის აღძვრა- გონებრივი იერიში

	მასწავლებელი სვავს მაპროვოცირებელ შეკითხვას: Have teenagers got any problems in the street, at home, at school in 21st century? მოსწავლეები პასუხობენ და მასწავლებელი ხატავს დაფაზე ასოციაციურ რუკას და მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს თავად დაარქვან ამ რუკას სახელი გაკვეთილის თემიდან გამომდინარე. მასწავლებელი მუშაობს დაფასთან და მოსწავლეების პასუხებით ავსებს ასოციაციურ რუკას (მოსწავლეები მასწავლებელს პასუხობენ შესაბამისად ინგლისურ ენაზე). გონებრივი იერიშის დასრულების შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს იმ უცხო სიტყვებს, რომელთა ინგლისურად წარმოთქმა გაუჭირდებათ მოსწავლეებს (და სთხოვს ეს სიტყვები ისწავლონ სახლში). ამავე პროცესში ჩართულნი არიან სსსმ მოსწავლები. **სიღრმისეული წვდომის ფაზა** **2 წთ -** ვიდეო-ფილმის ჩვენება გაკვეთილის თემასთან დაკავშირებით **10 წთ -** მასწავლებელო მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად (4 ჯგუფი) და აძლევს მითითებას, რომ მათ უნდა წაიკითხონ სახელმძღვანელოდან მათთვის განკუთვნილი ადგილი, დაამუშაონ ლექსიკური თვალსაზრისით (ამოწერონ უცხო სიტყვები) და პარალელი გაავლონ ტექსტში იდენტიფიცირებულ პრობლემასა და ასოციაციურ რუკაზე, მათ მიერ ჩამოთვლილ პრობლემებს შორის და იმსჯელონ საკითხის აქტუალობაზე. მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ გამარჯვებულად დასახელდება ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე უკეთ შეძლებს ინგლისურ ენაზე მსჯელობას და პრეზენტაციის გაკეთებას. ვიდრე მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, მასწავლებელი ინდივიდუალურ დავალებას აძლევს სსსმ მოსწავლეებს მათი ისგ-დან გამომდინარე, კერძოდ ავალებს დაფაზე ჩამოწერილი სიტყვების გადმოწერას რვეულში და მასწავლებლის მიერ დასახელებული ასოების განსხვავებული ფერებით შემოხაზვას. **რეფლექსიის ფაზა** **13 წთ -** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოახდინონ მათი ჯგუფური მუშაობის პრეზენტაცია. შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს თავად გამოავლინონ გამარჯვებული ჯგუფი. მოსწავლეები ერთმანეთს აფასებენ შეფასების რუბრიკით.
საშინაო დავალება	**1 წთ -** მითითებული სიტყვების სწავლა. გრამატიკული მასალის გამეორება.
შეფასება	**2 წთ -** განმავითარებელი .

ჯგუფური შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	ძალიან კარგი	საშუალო	საშუალო	დაბალი
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება	ჯგუფმა სამუშაო მიზანი კარგად გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაო მიზანი გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაო მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაო მიზანი კარგად ვერ გააცნობიერა
ჯგუფის მიერ სამუშაოს ორგანიზება	სამუშაო კარგად ორგანიზებული იყო, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები სწორად და თანაბრად გადანაწილდა	სამუშაო ორგანიზებული იყო, მაგრამ ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაო ნაწილობრივ იყო ორგანიზებული და ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაო არ იყო ორგანიზებული - ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილებულა
ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	გააჩნიათ საუკეთესო ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	საკმარისად გააჩნიათ ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	ნაწილობრივ გააჩნიათ ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	არ გააჩნიათ მოსმენისა და აზრთა გაზიარების უნარი
დროის ლიმიტი	საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს	საკმარისად იცავენ დროის ლიმიტს	უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა	ვერ იცავენ დროის ლიმიტს
თანამშრომლობა	ჯგუფის ყველა წევრი იყო აქტიური და სამუშაო ნაყოფიერი, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფის თითქმის ყველა წევრი იყო აქტიური. ჯგუფის წევრებს შორის ძირითადად პოზიტიური ურთიერთობები იყო	მხოლოდ ერთი-ორი მოსწავლე აქტიურობდა, ჯგუფის აქტიურ წევრებსა და პასიურ წევრებს შორის ზოგჯერ ურთიერთობები იძაბებოდა	ჯგუფის წევრები არ აქტიურობდნენ, ჯგუფის წევრებს შორის არ შეინიშნებოდა თანამშრომლობითი გარემო